02/12/2019

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქადაგება (01.12.2019)

ჩვენთან არს ღმერთი

რთულია ადამიანის ცხოვრება, ადამიანის ცხოვრება ეს არის გამოცდა, ეს არის ტვირთვა ჯვრისა, რომელიც ბოლომდე უნდა მიიტანოს მან. ძალიან ხშირი შემთხვევაა, როცა ჩვენ გვიჭირს ჯვრის ზიდვა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთი არ გვაძლევს იმაზე მძიმე ჯვარს, რისი ტვირთვაც შეგვიძლია.

ადამიანი ურთულესი აგებულებისაა. იგი არის უნიკალური. ერთხელ იბადება ამქვეყნად და ემზადება სამუდამო, მარადიული ცხოვრებისათვის. ბედნიერია ის, ვინც ღვთის ნებას, ღვთის განგებას ასრულებს.

,,წყალობა შენი უფალო თანამავალ მეყავნ მე ყოველთა დღეთა ცხორვებისა ჩემისათა.“

ჩვენ ვცხოვრობთ ურთულეს დროს. ჩვენ ვცხოვრობთ იმ დროს, როცა ადამიანი თვითონ ირჩევს სამოთხეს თუ ჯოჯოხეთს და ინებოს უფალმა, რომ სამოთხე აირჩიოს და მარჯვენა მხარეს დადგეს ყველა.

ყველაზე ბედნიერი ადამიანი ის არის, რომელიც ეხმარება სხვას ჯვრის ტვირთვაში. ურთიერთ სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ აღასრულეთ რჯული იგი ქრისტესი, – გვასწავლის ახალი აღთქმა. სამწუხაროდ ჩვენ კი არ ვტვირთულობთ სხვის სიმძიმეს, პირიქით, უფრო მეტად ვამძიმებთ მოყვასის ჯვარს.

უნდა გახსოვდეთ, რომ ღმერთი არის სიყვარული, ღმერთი არის წყალობა, ღმერთი თავისი სიყვარულით ფარავს ჩვენს ნაკლსა და ჩვენ მადლობელი ვართ აი ამ შეწევნისათვის, ამ წყალობისათვის. წყალობა და სიხარული ღვთისა გფარავდეთ თქვენ. გაიხარეთ ორსავე სოფლესა შინა, აქაც და იქაც!

ჩვენთან არს ღმერთი!

მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით დეკანოზი გიორგი უგრეხელიძე დაჯილდოებულია მეორე ჯვრის ტარების უფლებით. აქსიოს!

დღეს მობრძანებულები არიან ღურბელაშვილები. ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ, გაგამარვალოთ.

ასევე დღეს ჩვენთან ჩამოვიდნენ ჩოხოსნები მესტიიდან და სოფელ ჭუბერიდან.

დალოცვილი იყავით. მესტია, სვანეთი, წმინდა ადგილია, ამიტომ თქვენ უნდა მაგალითი მისცეთ ყველას. დალოცვილი იყავით და გაიხარეთ.
patriarchate.ge